

Solomon Tabutsadze

სოლომონ ტაბუცაძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## The Picaresque Genre in the Works of Kutaisi Writers

### პიკარესკული ჟანრი ქუთათური მწერლების შემოქმედებაში

The main character of the picaresque genre is an archetypal figure—a cunning trickster—in world literature. This genre itself emerges during times of crisis. On the one hand, it is shaped by the era; on the other hand, it possesses a narrative quality that defines texts of this type. Telling and listening to stories of a deceitful nature serves as a universal means of coping with human existential struggles. Notable examples of such works include Sergo Kliashvili's *The Adventure of Lakhundarel* and Rezo Cheishvili's *The Adventure of Shaliko Khvingiadze*.

**Key words:** Picaresque genre; Kutaisi writers; Narration and listening; Existential distress; Crisis epoques

**საკვანძო სიტყვები:** პიკარესკული ჟანრი; ქუთათური მწერლები; თხრობა და მოსმენა; ეგზისტენციური შეჭირვება; კრიზისული ეპოქები

ესპანურ კულტურულ ნიადაგზე აღმოცენებულმა პიკარესკული რომანის ფესვმა ქართულ ლიტერატურულ სივრცეშიც იხარა და დიდებული მხატვრული ნაყოფიც გამოიღო. ამ ჟანრის მხატვრული ტექსტების ხსენებისას, პირველ ყოვლისა, ალბათ, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის თავადასავალი“ (ასე რქმევია რომანის პირველ, 1925 წლის გამოცემას (კვაჭანტირაძე, 2010, გვ. 40-58) გაგვახსენდება, რომელსაც ტიპური ბურჟუაზიული ყაიდის რომანი უწოდეს თავის დროზე; ეს „თავის დროზე“ ქართული ყოფისთვის უმძიმეს ხანას მოიცავს და სწორედ ამ „სისხლის წვიმების“ დროს საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა დავით დემეტრაძემ ამ სიტყვებით გაამართლა ბოლშევიკური მთავრობის რეპრესია მიხეილ ჯავახიშვილის „მოლაღატური“ საქმიანობის მიმართ თავის გამოსვლაში 1937 წლის 17 აგვისტოს: „ავანტურისმის, თაღლითობის, სატყუარობისა და თვალთმაქცობის გამიშვლებული აპოლოგია“ (დემეტრაძე, 2002, გვ. 112); ასე შეფასდა ეს რომანი იმ დროს და, კაცმა რომ თქვას, მართებულადაც, რადგან საბჭოთა კრიტიკოსმა სწორედ პიკარესკული ჟანრის პერსონაჟისათვის დამახასიათებელი თვისებები ჩამოთვალა.

ჟანრის ფარგლებში, რა თქმა უნდა, გაგვახსენდება პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერიც“, მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ტექსტი – ქართული ცხოვრების საფუძველმდებრი პარადიგმის მხატვრული ხორცშესხმა.

მიხილ ჯავახიშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის აღნიშნული ტექსტები ქართული ნაციონალური კულტურის გამოკვეთილი და ორგანული შემადგენელია.

ახლოთემატური თვალსაზრისით ამ რკალში შეიძლება მოგვეაზრებინა დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“, მაგრამ ეს უკვე ამ კუთხით ცალკე კვლევის საკითხია.

ალბათ სხვა ტექსტების მოხმობაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ორ ნაწარმოებს, ორ მოთხრობას, მივაქცევთ ყურადღებას – ეს არის ძველი და ახალი თაობის ქართველ მწერალთა – სერგო კლდიაშვილისა და რეზო ჭიჭიშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“ და „შალიკო ხვინგაძის თავგადასავალი“, რომლებიც ქართული ლიტერატურის ჟანრული არსენალის – ანუ პიკარესკული მოტივებით წარმოდგენილი – მნიშვნელოვანი შენამატებია. ეს ტექსტები, როგორც იტყვიან, „დრო და ჟამის შესაფერად“ ანუ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობითი ფორუმის ჩატარების ადგილის მიხედვით შევარჩიეთ.

რამდენიმე სიტყვა პიკარესკული ლიტერატურული ჟანრის შესახებაც:

პიკარესკი ესპანური მწერლობის წიაღში წარმოიშვა და, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, XVI-XVII საუკუნეების ევროპის სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების ისტორიულ პროდუქტს წარმოადგენს. შუასაუკუნეების ესპანეთის ავანტიურული პროზის პირმო – პიკარესკას რეაქტულიზაცია პერიოდულად ხდება ხოლმე გარდამავალი ეპოქების ლიტერატურაში ანუ მაშინ, როდესაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, „ცხოვრების ნაპირამდე მიღწევის“ ეგზისტენციალური პრობლემა (მელანაშვილი, 2016, გვ. 3).

ვამბობთ ესპანური წარმოშობისას, მაგრამ თუ უფრო „ახლით განვჩხრეკთ“ ამ ჟანრის არქეტიპულ ძირებს, აუცილებლად ანტიკურ სამყაროში აღმოვჩნდებით და ტრიქსტერის მითოლოგიურ, არქაულ პერსონაჟსაც მივადგებით. სტანდარტულად ასეთი პერსონაჟი ხასიათდება როგორც ფლიდი, მატყუარა, თაღლითი, ავანტურისტი, ლიზდი და სხვა ამ რიგის თვისებით „ადმკული“, მაგრამ, „როგორც ყველა სახე, განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ტრიქსტერიც სახეცვლილებას განიცდის. ეს ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია ტრიქსტერის ლიტერატურული სახეების განვითარების ჭრილში, დაწყებული კარნავალური კულტურის ტრადიციითა და დასავლური პიკარესკული რომანით – XX საუკუნის მოდერნისტული რომანით დამთავრებული“ (კვაჭანტირაძე, 2010, გვ. 41).

პიკარესკულ ჟანრის პროტაგონისტი ყოფითი და სათავგადასავლო მხატვრული ტექსტის ქრონოტოპში მოქმედი უბრალო ადამიანია – მრავალფეროვანი და ცვალებადი ცხოვრების, სინამდვილის სხვადასხვა მხარის მაჩვენებელი და მამხილებელი.

პიკარესკული ჟანრი მოიკრებს ეპოქის განწყობებს და სათავისო მოსათხრობს სოციალური სხეულის რღვევის, იერარქიული ყოფის დაშლისა და იდეოლოგიური სისტემის დეკონსტრუქციის ჟამს მოიძიებს ხოლმე. ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ეს ჟანრი მე-20 ს.-ის ოციან წლებში, ცნობილი სოციალური კატაკლიზმებისას აღორძინდა.

1917-21 წლების ქართული სინამდვილის საბედისწერო, დრამატულმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორის შინაგან სამყაროზე და პიესა საქართველოს ოკუპაციის, გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა.

ამდენად, გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში პიკარესკულმა ჟანრმა ბუნებრივად იჩინა თავი, რადგან სწორედ ამ ავადსახსენებელ დროს მოხდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება. სწორედ ამ დროებამ დაბადა ნაირგვარი ავანტურისტის, თაღლითისა და თვალთმაქცის სათარეშო ასპარეზი.

მხატვრული ტექსტის ჟანრობრივი მიკუთვნებულობაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა გვქონდეს მისთვის დამახასიათებელი ფლექსიურობა. როგორც ამ ჟანრის თეორეტიკოსი მიხაილ ბახტინი ამბობს, იგი დაკანონებული კალაპოტიდან ამოვარდნილ ყოფას გვიჩვენებს,

აღსავსეა მკვეთრი ცვლილებებით, გარდასახვებითა და მისტიფიკაციებით (ბახტინი 1975: 20).

„დაკანონებული კალაპოტიდან ამოვარდნილი“ ცხოვრება სწორედაც რომ გამონაგონის დომინანტურობას გულისხმობს. როგორც გურამ ასათიანი წერს სერგო კლდიაშვილის შესახებ, მისთვის „პროზა არ არსებობს ხელოვნების („გამონაგონის“) მკაფიო დომინანტის გარეშე. ოღონდ გამოგონება მისთვის თვით ცხოვრების კონცენტრატია“-ო (ასათიანი, 2010). ამგვარ „გამოგონებულ“ ტექსტად გვესახება „ლახუნდარელის თავგადასავალი“.

მთხრობელი ძველი ქართული პატრიარქალური ცხოვრების ინერციით შემორჩენილი წესის გახსენებით იწყებს, როდესაც აზნაურთა ძველი გვარის შთამომავალი ბაბუა სპირიდონი ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც „ხელგაშლილობით ცხოვრობდა და დღეებს უდარდელად ატარებდა“. დიდი ქონების პატრონი სპირიდონი არ ყოფილა, მაგრამ „წლიდან წლამდე პური და ღვინო მაინც არ დაჰკლებია“ და, როგორც იტყვიან, ქართველ კაცს მეტი არც არაფერი სდომებია, რადგან სტუმრების გამასპინძლების საშუალება და ამით მოგვრილი კმაყოფილება არ დაჰკლებია. სტუმართაგან გამორჩეული, რა თქმა უნდა, აზნაური კიმოთე ლახუნდარელი ყოფილა, რომელიც თურმე თვეობითაცა რჩებოდა „გულსუქანი“, ტახტზე ყენივით წამომჯდარი ბაბუა სპირიდონის ოჯახში. მთხრობლის მიერ საგულისხმოდ აღწერილი კომოთეს გარეგნობა აშკარად პერსონაჟის განზოგადებულ სახეზე მიგვითითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კიმოთეები არა მხოლოდ ლახუნდარაში, არამედ სხვაგანაც ბლომად მოიძიებიან: „არც მაღალი, არც დაბალი და არც სულ საშუალო ტანისა. თვალები ხან მიმინოს მიუგავდა, ხან გახელებული ხარივით უფართოვდებოდა. ეს დამოკიდებული იყო მის სულიერ განწყობილებაზე, მის გუნებაზე. მკერდი ქილებით ჰქონდა ამალღებული, წელი კი, როცა ქამარი ერტყა, ისეთ ვიწრო, რომ გეგონებოდათ ნემსის ყუნწში გაძვრებაო. მაგრამ თუ შილიფად ბრძანდებოდა, მაშინ იმასაც შეამჩნევდით, რომ მუცელი ხელს შეუშლიდა არა თუ ნემსის, მახათის ყუნწში გაბრომასაც“.

კიმოთეს სახე ისე მძაფრად ჩაჭრია მეხსიერებაში მთხრობელს, რომ „ხანდახან ქუჩაში გავლისას ცხადად წარმომიდგება მისი სახე და მრავალი მოქალაქე გადაცმულ ლახუნდარელად მეჩვენება“(კლდიაშვილი 1982: 43).

კიმოთე ლახუნდარელის სახე სატირულ-გროტესკული ფორმითა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით იკვეთება, რომელთა თანმიმდევრობა მკითხველში მოულოდნელობის ეფექტს ამძაფრებს და ამით ემოციურ აღქმას უწყობს ხელს. ის ენობრივი სილაღე, რასაც პერსონაჟი ამჟღავნებს, ხალხური და ზეპირსიტყვიერი მეტყველებიდან იღებს სათავეს და მონათხრობს კოლორიტულობასა სძენს.

კიმოთე ლახუნდარელს სტუმრობის დრო და ჟამიც მარჯვედ და გონიერადა აქვს შერჩეული: „ლახუნდარელს უყვარდა სტუმრობა ახალნაშემოდგომევეს... მუშაობა ყველგან მოთავებულა, მოწეულის დასვენებულად ჭამის დრო იწყება... ხშირად ინთება ბუხარში ცეცხლი, ბუხრის გვერდით გამოუღვავლად დგას დოქით მაჭარი, პატარა დაბალ სუფრაზე კი ბარკალახლეჩილი ვარიკა დევს...“

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ წარმოსახვის იმგვარი გასაქანის მქონე ადამიანისთვის, როგორც კიმოთეა, ჩანს, მაინც უღიმღამობით არის დაღდასმული და სადაგი ყოფა მისთვის უკმარი ასპარეზია. ამიტომაც, რომ კიმოთე ლახუნდარელი ბაბუა სპირიდონთან სტუმრობისას აუშვებს ხოლმე ფანტაზიის აფრებს და მსმენელებს წარმტაც და უცნაურ სამყაროში ამოგზაურებს. გამომგონებლობის უნარით აღჭურვილი ყოველდღიურობის სამანებს მსმენელსაც დააღწევინებს თავს და თვალწარმტაც და იდუმალ სამყაროს გზა-ბილიკებს გაუყენებს ხოლმე.

მოვლენათა კასკადური ცვლა მსმენელს საბოლოოდ მიაჯაჭვავს ხოლმე მკვეხარა პერსონაჟისეულ მონაყოლს და თხრობის სტიქიასა და ფერადოვნებას მინდობილს რეალობაში დაბრუნება დისკომფორტს უქმნის.

ბაბუა სპირიდონის გაუნელებელ სიმარტოვეს ვერაფერი ანელებს გარდა კიმოთეს ხვავრიელი თხრობისა.

წუთისოფლის ერთფეროვნებაში გამოკეტილი ადამიანისთვის კომოტენიანი ადამიანის სტუმრობაცა და მასპინძლობაც დიდი შვებაა და მისი მონაყოლ- მონათხრობით სულწაღებული მსმენელი ცხოვრების სიმძიმისგან თავდაღწევის შვებას განიცდის.

კომოტე ლახუნდარელის დონ კოხოტურ საქმეთა მემკვიდრედ შეიძლება ვიგულოთ შალიკო ხვინგიაძე. როდესაც „ლახუნდარელის თავგადასავლის“ მთხრობელი ამბობს, რომ ხანდახან ქუჩაში გამვლელი მოქალაქე გადაცმულ ლახუნდარელად მომჩვენებიაო, რაღა უნდა ითქვას რეზო ჭეიშვილის პერსონაჟზე, რომელსაც კონკრეტული პროტოტიპებიცა ჰყოლია. *„მიუნჰაუზენის მონათესავე ჭეიშვილისეული გმირის მოგონილი თავგადასავლები მთლიანად მეორე მსოფლიო ომთან არის დაკავშირებული. ყველაფერი ერთ ღერძზეა ასხმული და <...> გაბმული, მოუწყინარი თხრობაა“* (კვიტაიშვილი, 2022, გვ. 30). შალიკო ხვინგიძის ლიტერატურულ პერსონაჟად მოვლინება ლოგიკური გაგრძელებაა იმ თქმულებებისა, რომლებიც თურმე ხალხში ტრიალებდა ომისშემდგომ პერიოდში. მომრავლებულან მოტრაბახენი, რომლებსაც თითქოს ენით აუწერელი გმირობები ჰქონდათ ჩადენილი სხვადასხვა ფრონტებზე: *„ძალიან გახმაურდა ვინმე ჩივილიას „მხედრული დამსახურებანი“; ვისი მონაწილეობითაც ვითომ ყველა გადამწყვეტი ბრძოლა იქნა მოგებული და ბერლინის აღების შტურმსაც კი ხელმძღვანელობდა. ბოლოს კი, წითელ მოედანზე გამარჯვების პარადის დროს, ძირს დაფენილი ფაშისტური დროშების ფონზე, ყუკოვის მაგივრად, თეთრ ტაიჭზე შესკუბებული, იგი აძლევს პატაკს ტრიბუნაზე მდგარ სტალინს“* (კვიტაიშვილი, 2022, გვ.30). რეზო ჭეიშვილს როგორც მწერალსა და ყოველდღიურობის მემატეიანეს ვერ გამოჩვენებდა და გამოეპარებოდა ქუთაისში არსებული მოვლენები და ამ და სხვა „გმირთა“ თავგადასავლები შალიკოს მონათხრობიდანაც გამოსჩანს.

კომოტესა და შალიკოს თავგადასავლებზე საუბრისას, რასაკვირველია, შეიძლება გველაპარაკა მხატვრულ ტექსტებში რეალიზებულ ინტერტექსტუალობაზეც და აქ უპირველესად ერიპრუდოლოგ რასპეს „ბარონ კარლ ფრიდრიხ ჰიერონიმუს ფონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ გაგვეხსენებინა, რომლის ოფიცრული თუ მემამულური ცხოვრება სრულებითაც არ ყოფილა თავგადასავლებით აღსავსე, მაგრამ როგორც თხრობის ხელოვნებით ატანილი პიროვნება, უდიდამო ყოფის მიღმა ფათერაკებითა და მოულოდნელობებით აღსავსე წარმტაც სინამდვილესა ჰვრეტდა.

და მაინც რა ეგზისტენციალური ტვირთის მატარებელია თხრობის და მოსმენის ეს სახეობა, რომელსაც რაიმე იდეოლოგიური ღერძი არც გამოუჩანს?

გარდა ამბების ჯადოსნურობისა და მომხიბვლელობისა, აქ უნდა გავიხსენოთ თხრობისა და მოყოლის მსმენელსა და მკითხველზე ზემოქმედების ეფექტი, რომელსაც, როგორც წერენ, და ჩვენი გამოცდილებითაც ვუწყით, რომ განკურნების ძალმოსილებაცა აქვს. გარდა ამისა, *„ლიტერატურული ნაწარმოების კითხვა თამაშში მონაწილეობაა, თამაშში, რომელიც აზრს აძლევს ჩვენს არსებობას, საგანთა უსასრულო მრავალფეროვნებას, ვარიაციებს, აუარება მოვლენას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ხდება“* (ხარბედია, 2020). და აქვე უმბერტო ეკოს სიტყვები:

*„კითხულობდე ლიტერატურულ ნაწარმოებს, ნიშნავს მონაწილეობას იღებდე თამაშში, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიაზროთ მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნება, რომელიც მოხდა, ხდება ან მოხდება რეალურ სამყაროში. ლიტერატურული ტექსტის კითხვისას, ჩვენ გავუზრებვართ უხერხულობასა და შიშს, რომელიც მაშინ გვეუფლება ხოლმე, როცა ვცდილობთ რაღაც ჭეშმარიტი ვთქვათ გარესამყაროს შესახებ. სწორედ ამაში მდგომარეობს ლიტერატურის მანუგეშებელი ფუნქცია, სწორედ ამიტომ ჰყვებიან ადამიანები ისტორიებს და ჰყვებოდნენ მუდამ, უძველესი დროიდან მოყოლებული“* (ხარბედია, 2020).

თხრობასთან დაკავშირებით ძალზე საგულისხმოა ელიას კანეტის „მარაკემის ხმების“ ერთი თავი („მთხრობელები და მწერლები“), რომელშიც ავტორი წერს თუ როგორ იკრიბება ყველაზე მეტი ხალხი მთხრობელების გარშემო მჭიდრო წრეებად და მთხრობელთა სიტყვებს მონუსხული უსმენს; ზოგჯერ ორი მთხრობელი ენაცვლება ერთმანეთს, ავტორს არც ერთი სიტყვა არ ესმის,

მაგრამ მაინც გულისყურით უსმენს, ხედება, რა ძვირფასია სიტყვები მთქმელისთვის, როგორ ამა-  
ყობს საკუთარი მონათხრობით, როგორ რიტმულად ალაგებს სიტყვებს, ესმის პაუზის და სხვ. აქ  
რიტმსაც თხრობასავით თერაპიული და შემეცნებითი ფუნქცია აქვს.

თხრობა ყოველდღიურობის რუტინიდან თავდაღწევის საშუალებაცაა და ცხოვრების  
გააზრებისა და შემეცნებისაც.

დაბოლოს, კვლავ ამ ორი ტექსტის ჟანრობრივ საკითხს რომ მივუბრუნდეთ:

სერგო კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“, სათავგადასავლო ჟანრის თხზუ-  
ლებაა და ამას ტექსტის სათაურიც გვეუბნება. თხრობის ცოცხალი სტილით, მსუბუქი იუმორითა  
და პიკარესკასთვის დამახასიათებელი დეტალებით ახლოსაა ამ ჟანრთან, თუმცა მის უშუალო  
მხატვრულ განსახოვნებად ვერ ჩაითვლება. კი, არის პიკარესკასთვის ნიშანდობლივი იუმორის-  
ტული და გროტესკული ელემენტები, მაგრამ ეს ის არ არის, რითაც მთავარი გმირი იუმორითა და  
მოხერხებულობით გადის ცხოვრების ფონს. ლახუნდარელი არ დგება მორალური დიქტომიის  
წინაშე, რაც პიკარესკული ჯანრის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამიტომ ვამბობთ, რომ იგი  
პიკარესკული ჟანრის სრულყოფილ ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

რეზო ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ შეიძლება მივიჩნიოთ პიკარესკული  
ჟანრის ნიმუშად მისთვის დამახასიათებელია სოციალური სატირის, მთავარი გმირის ყოფითი  
თავგადასავლებისა და ხუმრობა-ირონიის გამო, რაც მოთხრობის მთლიან ტონს განსაზღვრავს.

მთავარი გმირი, კარგი მთხრობელი, მომღერალი, ჭკვიანი, მოხერხებული ადამიანი, რომე-  
ლიც ცდილობს გადაურჩეს ცხოვრების სირთულეებს. შალიკო ხვინგიაძის პერსონაჟი, ყოფისეული  
სირთულეებისა და ეგზისტენციალურ შეჭირვებათა ფონზე ხალისიანი და გროტესკული სიტუაცი-  
ების მონაწილეა. ნაწარმოებს პიკარესკული ჟანრის ელემენტები ახასიათებს, რაც მას საინტერესოს  
და სახალისოს ხდის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სერგო კლდიაშვილისა და რეზო ჭეიშვილის მხატვ-  
რული ტექსტები პიკარესკულ ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნებითა და მოტივებითაა აღ-  
ჭურვილი, მაგრამ ამ ჟანრის ტიპურ ნიმუშებად არ გვევლინება.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი, გ. (2010). სერგო კლდიაშვილი. <https://burusi.wordpress.com/2010/02/17/sergo-kldiashvili-3/>
- დემეტრაძე, დ. (2005). დავით დემეტრაძისგან ინფორმაცია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის  
პრეზიდენტის სხდომაზე მ. ჯავახიშვილის მოლაპატურე საქმიანობის შესახებ. 17.08.1937 წ. კრებ.  
„ლელვარი“. თბილისი: ქართული ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, 112-114.
- კვაჭანტირაძე, მანანა. (2010). ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე. ნიკო ლორთ-  
ქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი – 130. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- კვიციანი, ე. (2022). „მიუნჰაუზენის ქართველი ძმა („შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“). ჟურნალი  
„მწვანეყვავილა“, 1-2.
- კლდიაშვილი, ს. (1982). ლახუნდარელის თავგადასავალი და სხვა მოთხრობები. თბილისი: „ნაკადული“.
- კუტივაძე, ნ. (2016). სერგო კლდიაშვილის ლიტერატურული ზღაპრის მხატვრული თავისებურებისათვის.  
ჟურნალი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“,  
<https://www.moambe.atsu.edu.ge/index.php?newsid=31&seourl=-&seocat=gamocema8>, 8.
- მელანაშვილი, მ. (2016). პიკარესკა XX საუკუნის ქართული მწერლობის კონტექსტში: პრობლემატიკა, პო-  
ეტიკა, ტიპოლოგია (სადისერტაციო ნაშრომი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- რატინი, ი. (2016). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი, „თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ტყეშელაშვილი, მ. (2021). პოლიკარპე კაკაბაძე. წგ.: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. თსუ, შოთა რუს-  
თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.
- ჭეიშვილი, რ. (2012). თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. 5. საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი.
- ხარბედა, მ. (2020). თხრობა და განკურნება. <https://publika.ge/article/tkhroba-da-gankurneba/>

Бахтин, М. М. (1975). Вопросы литературы и эстетики, М.: Художественная литература.  
Луначарский, А. В. (1938). Будем смеяться. В кн.: Статьи о театре и драматургии М.-Л.: „Искусство“,  
[https://rusneb.ru/catalog/000199\\_000009\\_005336274\\_1000221965/](https://rusneb.ru/catalog/000199_000009_005336274_1000221965/)

#### References:

- Asatiani, G. (2010). Sergo K'ldiashvili. [Sergo Kldiashvili]. <https://burusi.wordpress.com/2010/02/17/sergo-kldiashvili-3/>
- Bahtin, M. M. (1975). Voprosy literatury i estetiki. [Questions of Literature and Aesthetics]. M.: Khudojestvennaia literatura.
- Ch'eishvil, R. (2012). Tkhzulebani shvid t'omad, t'.5. [Works in Seven Volumes, Vol. 5]. Sagamomtsemlo tsent'ri, Kutaisi.
- Demet'radze, D. (2005). Davit Demet'radzisgan inpormatsia Sakartvelos sabch'ota mts'erlebis k'avshiris p'rezidiumis skhdomaze M. Javakhishvilis moghalat'uri sakmianobis shesakheb. 17.08.1937. Ts'. k'reb. „l'elvari“. [Information from David Demetradze at the meeting of the Presidium of the Union of Soviet Writers of Georgia about the treacherous activities of M. Javakhishvili. 17.08.1937. Collection. "Lelvari"]. Tbilisi: kartuli lit'erat'uris muzeumis gamomts-oba, 112-114.
- Kharbedia, M. (2020). Tkhraba da gank'urneba. [Narration and Healing]. <https://publika.ge/article/tkhraba-dagankurneba/>
- K'ldiashvili, S. (1982). Lakhundarelis tavgadasavali da skhva motkhroebi. [The Adventures of Lakhundareli and Other Stories]. Tbilisi: „nak'aduli“.
- K'vach'ant'iradze, M. (2010). Kartuli lit'erat'ura modernizmsa da realizmsi mijnaze. Nik'o Lortkipanidze, Mikheil Javakhishvili – 130. [Georgian Literature on the Border of Modernism and Realism. Niko Lortkipanidze, Mikheil Javakhishvili – 130]. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- K'vit'aishvili, E. (2022). Miunhauzenis kartveli dzma („Shalik'o Khvingiadzis tavgadasavali“). [Munchausen's Georgian Brother (“The Adventures of Shaliko Khvingiadze”)]. Zhurnali „mts'vaneq'vavila“, 1-2.
- K'ut'ivadze, N. (2016). Sergo K'ldiashvilis lit'erat'uruli zghap'ris mkhat'vruli taviseburebisatvis. [For the Artistic Features of Sergo Kldiashvili's Literary Fairy Tale]. Zhurnali „Ak'ak'i Ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is moambe“, <https://www.moambe.atsu.edu.ge/index.php?newsid=31&seourl=-&seocat=gamocema8>, 8.
- Lunacharskiy, A. V. (1938). Budem smeyat'sya. V kn.: Stat'i o teatre i dramaturgiy. [Let's Laugh. In the book: Articles on Theater and Dramaturgy]. M.-L.: „Iskusstvo“.  
[https://rusneb.ru/catalog/000199\\_000009\\_005336274\\_1000221965/](https://rusneb.ru/catalog/000199_000009_005336274_1000221965/)
- Melanashvili, M. (2016). P'ik'aresk'a XX sauk'unis kartuli mts'erlobis k'ont'ekst'shi: p'roblemat'ik'a, p'oet'ik'a, t'ip'ologia (sadsert'atsio nashromi). [Picaresque in the Context of 20th Century Georgian Writing: Problematics, Poetics, Typology (dissertation)]. Sokhumis sakhelmts'ipo universit'et'i.
- Rat'iani, I. (2016). Kartuli mts'erloba da msoplio lit'erat'uruli p'rotsesi. [Georgian Writing and the World Literary Process]. Tbilisi: „tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- T'q'eshelashvili, M. (2021). P'olik'arp'e k'ak'abadze. Ts'g.: XX sauk'unis kartuli lit'erat'ura. [Polikarpe Kakabadze. In: 20th Century Georgian Literature]. Tbilisi: Tsu, Shota Rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i.